17 ოქტომბერს გაიხსნება სკკპ XXII ყრილობა

ვუძღვნით ამ საჩუქრებს



მაია ჯელია,
სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

ყრილოგის დელეგატი

გზა მოვიდოგისა

საამქროებს სასიხარულო ცნობა მოუდო. საკონსერვო ქარხანამ წლიური დავალება 4 ოქტომბერს გაანაღდა, მეორე დღეს კი, 5 ოქტომბერს, გეგმის გადამეტებით 150 ათასი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი მისცა მშრომელთა სუფრას.

აი ამ შრომითს გმირობაში ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად მაია ჯელიას კომუნისტური შრომის ბრიგადას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

ბრიგადის წევრები ხშირად ისმენდნენ ცნობებს მოლდავეთიდან ტირასპოლის საკონსერვო ქარხნის გაფორმების ოსტატის ვალია გრუზნევას გმირულ საქმეებზე, რომელიც ცვლაში 20 ათას ქილა კონსერვს აფორმებდა.

— მოდი, გოგონებო, მოვიწვიოთ ვალია, გამოცდილებას გაგვიზიარებს, დაგვეხმარება — გადაწყვიტეს მათ.

ოთხი შვილის დედამ — ვალია გრუზნევამ უარი ვერ უთხრა კოლეგებს. დრო იხელთა და ქუთაისელებს ესტუმრა. გაფორმების საამქროს განტვირთვის განყოფილებაში სამუშაო ადგილების მთლიანი რეორგანიზაცია მოხდა.

დაინერგა სამუშაო პროცესების გრუზნევასეული მოწინავე მეთოდები, შეიცვალეს სტრუქტურა კონსერვების გასაფორმებელ დაფას, რომელმაც კონვეიერის სახე მიიღო. და აი მოხდა არნახული. ბრიგადამ მზა პროდუქციის განტვირთვა ერთიორად გაზარდა. წინათ თუ 6-7 ათას პირობით ქილა კონსერვს განტვირთავდნენ, ახლა ამ ციფრმა 12-15 ათასს მიაღწია...

საამქროს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი მაია ჯელია ახლახან დაბრუნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობიდან.

— ჩემს სიხარულს, კოლექტივის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყეს, რომ ყრილობის დელეგატებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ნდობა გამომიცხადეს. ეს ხომ მთელი კოლექტივის მიღწევა, მისი შრომის დაფასება იყო, — ამბობს მაია.

ჯელიას კომუნისტური შრომის ბრიგადა 22 ქალისაგან შედგება. ბრიგადის ოცდამესამე, საპატიო წევრი, რომელიც ბრიგადამ ოთხი თვეა იმმო, საბჭოთა კავშირის გმირი, მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინია.

მთელი ბრიგადა ოთხი ჯგუფისაგან შედგება. ჯგუფში 6 ქალი მუშაობს. როდესაც გაგარინი „მუშაობს", ფაქტიურად ჯგუფში ხუთი ქალია. ისე, რომ გაგარინს პერიოდულად ყოველ ჯგუფში უხდება მუშაობა.

მიმდინარე წლის იგლისში ბრიგადამ გაგარინის სახელით სამშობლოს მისცა 8.899 მანეთის მზა პროდუქცია, აგვისტოში — 13.183 მანეთისა, სექტემბერში კი — 14.172 მანეთისა.

ქარხნის მთელ კოლექტივს კარგად ესმის, რომ შრომას სასახელო საქმეები ამკობს. გადაწყვიტეს წლის ბოლომდე 2 მილიონი ქილა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი კონსერვი მისცენ საშობლოს და, რაც მთავარია, დაიცვან ასორტიმენტი და ხარისხი.

მოსკოვში გამგზავრების დღეებია...

— მაია, ფოტოსურათი გადაიღე კრემლში ჩვენი ბრიგადის წევრთან — იური გაგარინთან და ჩამოგვიტანე, — სთხოვენ დელეგატს დობილები. — მოკითხვა გადაეცი თანაბრიგადელებისაგან...

ქუთაისელთა მოწინავე შვილი ჩვენი პარტიის დიდ ფორუმზე მიემგზავრება. გზა მშვიდობისა!..

ა. გველესიანი.

უპატაკებენ პარტიას

△ **გალი.** (საკ. კორ.). მშოგლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს გალის რაიონის მშრომელებმა. გალელმა მეჩაიეებმა გადამეტებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მოკრეფილია 12.871,4 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.870 ტონისა.

△ **თეთრი წყარო.** (საკ. კორ.). ასურეთის ყურძენი და ღვინო განთქმულია ჩვენს რესპუბლიკაში. აკაურმა მევენახეებმა დიდი გადაბარბეთ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 150 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ტონაზე მეტი ყურძენი.

△ **წყალტუბო.** (საკ. კორ.). პირუტყვისათვის საინვალიდ საკვები გაზის შესაძენელად ნაყოფიერად შრომობს ბეგუთის მეგოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი შ. გურესაშვილი) კოლექტივი, რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე და გადამეტებით შეასრულა სილოსისა და თივის დაგროვების გეგმები.

გათვალისწინებული 2.625 ტონის ნაცვლად ჩაყრილია 2.800 ტონა სილოსი, ხოლო 3.310 ცენტნერის ნაცვლად დაგროვილია 4.500 ცენტნერი თივა.

XXII ყრილოგის წინ

ყრილოგის სახელოგისა...

აპრილი. რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გამართულ კომუნისტური შრომის ბრიგადების და დამკვრელების შეკრებაზე გადაწყდა — მიეხიოს პარტიის XXII ყრილობის საპატიო სახელი იმ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, აგრეგატებს თუ ცვლებს, რომლებიც ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებენ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

...გუგუნებენ ღუმლები, იხარშება თუჯი, დნება ფოლადი, ჩვენი ქვეყანა იღებს რუსთავის მარკის სულ ახალ და ახალ პროდუქციას. პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავგამოდებით იბრძვის თვითეული მეფოლადე, მებრძმედე თუ მგლინავი.

და აი უკვე დადგა დრო. შეაჯამეს მუშაობის შედეგები.

ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მარტენის № 1 კომუნისტური შრომის ღუმელმა და ბრძმედის საამქრის № 2 კომუნისტური შრომის ღუმელმა. აქვე აღნიშნულია იმ ბრიგადიერების გვარები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ ღუმელების კომუნისტური შრომის ბრიგადებს. აი ისინიც: ი. ტაბატაძე, ა. ფანცულაია, გ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი, პ. იმედაშვილი, ა. ძამაშვილი, პ. გეგეშიძე და გ. კოპაძე.

პარტიის XXII ყრილობის სახელობის № 1 ღუმელმა გამოადინა 9.312 ტონა ფოლადი, მაშინ როცა ვალდებულება 7.000 ტონას ითვალისწინებდა. ვალდებულების გადამეტებით 2.400 ტონა თუჯი გამოადნეს აგრეთვე ბრძმედის საამქროს № 2 ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა.

...დგან „400"-ზე განხორციელებულია მთლიანი ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია. ამას ჩვენმა სახელოვანმა მეტალურგებმა სწორედ პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული ბრძოლის დღეებში მიაღწიეს.

და როცა ამ აგრეგატის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება პირველ რიგში არ აღვნიშნოთ ის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც პ. ბენდიანიშვილი ხელმძღვანელობს. ვალდებულებით აღებული 817 ტონა მილების ნაცვლად 1.929 ტონა მილი! — ასეთია მისი საყრილობო საჩუქარი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის გადაწყვეტილებით მასაც მიეკუთვნა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის საპატიო სახელი. და განა მარტო მათ? პარტიის XXII ყრილობის საპატიო სახელი მოიხვეჭეს აგრეთვე კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, ცვლებმა და უბნებმა, რომლებსაც ნ. კურატაშვილი, ო. ვამაძე, ლ. ბირაკეტიანი, გ. თავაძე, გ. ყურაშვილი და ს. სიხარულიძე ხელმძღვანელობენ.

აქვე გადაწყდა მეტალურგთა 5 ბრიგადას მიენიჭოს პარტიის XXII ყრილობის სახელობის კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ესენი არიან მ. ჩაჩხიანის, ნ. გიკაშვილის, ვ. ჩოჩიშვილის, ს. დიასამიძის, ზ. ქოქოსაძის ბრიგადები.

...მარტენის საამქროს №1 ღუმელი. იგი უკვე ატარებს პარტიის XXII ყრილობის სახელს. ცვლა მიიღო სახელოვანმა მეფოლადემ გ. ბერეკაშვილმა და თქვა:

— ჩემი ბრიგადის, აგრეთვე ღუმელზე მომუშავე ყველა მეფოლადის სახელით პირობას ვიძლევი 12 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე დარჩენილი დრო გამოვაცხადოთ საყრილობო შრომითი ვახტის დღედ და ყოველდღიურად გამოვუშვათ მძიმეწონიანი ნაწონობი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 235 (12149) | პარასკევი, 13 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

ს ოხუმი. (საკ. კორ.). წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ სოხუმის რაიონის მშრომელები. კოლმეურნეობებმა გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ეთერზეთოვანი კულტურების მიყიდვის წლიური გეგმა. ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანას ჩაბარდა 802 ტონა ძვირფასი ნედლეული ნაცვლად 800 ტონისა.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის ზეგით სახელმწიფოს მიჰყიდონ 300 ტონა ეთერზეთოვან კულტურათა მწვანე მასა.

თ ელავი. (საკ. კორ.). ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის აგურის ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმა 12 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე მშენებლებს გეგმის გადამეტებით მისცეს 600 ათასი წითელი აგური.

ზ უგდიდი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეოთათაშორისო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა თვალსაჩინო შრომითი საჩუქრები მოუმზადა ყრილობას. ცხრა თვეში კანტორამ გადაზიდა 74.280 ტონა ტვირთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 71.340 ტონისა. გეგმასთან შედარებით გარბენილია 140.496 ტონა-კილომეტრზე მეტი. განვლილ პერიოდში დაზოგილია 14.280 კილოგრამი საწვავი, მიღებულია 29 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

უველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მძღოლებმა ვ. ქებურიამ, ბ. ბუალავამ, ა. ჩხეტიამ, ი. კუკავამ, ს. კობრეიძემ და სხვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენ კომუნიზმში ვიცხოვრებთ

ს აბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს, — ასე აღუთქვა პარტიამ ხალხს თავის ახალი პროგრამის პროექტში.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ამაზე სანუკვარი სიტყვები. მაგრამ ეს მარტო სიტყვები როდია. იგი საზეიმო დაპირებაა პარტიისა, რომელიც არასოდეს არ შემცდარა ანგარიშში და მუდამ თავისი სიტყვის პატრონია.

კომუნიზმი ჩვენი ხვალინდელი დღეა. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რასაც საბჭოთა ხალხები იჩენენ სკკპ პროგრამის პროექტის განხილვის მსვლელობაში იმის მიმართ, თუ როგორი უნდა იყოს ახალი ადამიანი. და ყველა მათგანის აზრი ემთხვევა ერთმანეთს, — რომ ახალი ადამიანი უალბდება უკვე ჩვენს დღეებში.

უურადღებით კითხულობ, უკვირდები პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებს და სულ უფრო ღრმად რწმუნდები, რამდენად იზრდება პარტიის ოფლი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ახალ ეტაპზე. მისი ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა უკვე დღეს აღზარდოს კომუნისტური ხვალინდელი დღის ადამიანი საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის მსვლელობაში, შემოქმედებითი შრომის პროცესში. ასეთ ადამიანში პარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიხალეკაკ და ფიზიკური სრულყოფა.

პარტიის პროგრამის პროექტში პირველად საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიაში მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე ჩამოყალიბებულია კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ზნეობრივ პრინციპებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს თვითეული საბჭოთა ადამიანი.

მტკიცება არ უნდა, რომ შეგნებული ადამიანი, რომელსაც ღრმად ესმის პარტიის პოლიტიკა და თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, უფრო შემოქმედებითად შრომობს, მედგრად სძლევს სიძნელეებს, ბეჯითად სწავლობს. მაგრამ ადამიანის ფორმირება მარტო შრომის პროცესში როდი ხდება. იგი გაცილებით მეტ დროს ატარებს ოჯახში და წარმოების გარეთ. ამიტომ პარტიულმა და კომკავშრომულმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდნენ, თუ რას აკეთებს ადამიანი სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, როგორ ატარებს იგი თავის დასვენებას, რას კითხულობს და რით ერთობა.

ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის კროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის გ. სულაძის წერილი.

— რვა თვეა, — წერს იგი, — რაც მე-9 მექანიკურ საამქროში შეიქმნა ხარატების ბრიგადა, რომელმაც გადაწყვიტა იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად. ჩვენ ადრეც ვმონაწილეობდით შეჯიბრებაში, ადრეც ვასრულობდით ვალდებულებებს, მაგრამ ისინი შეეხებოდა ჩვენი ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს — მუშაობას. ახლა ეს ცოტაა. ვალდებულებები, რომლებსაც მომავლის მზვერავები იღებენ, ეხება არა მარტო მუშაობას, არამედ მთელ ცხოვრებას. რომ დამსახურო და გაამართლო კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის საპატიო წოდება, საჭიროა იყო კარგი მუშა, შეგნებული, კულტურული ადამიანი, ბევრი რამ შეცვალო საკუთარ თავში, გათავისუფლდე ცუდი და დრომოჭმული ჩვეულებისაგან.

ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად! — ასეთი მიზანი დაისახეს ა. ძაბაშვილის, გ. ჩადუნელის, ი. ხაზარაძის, ზ. რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადებმა.

ასე მსჯელობენ უბრალო საბჭოთა ადამიანები, ასე გარდაქმნიან ისინი თავიანთ ყოფასა და ცხოვრებას. ასე ყალიბდება ჩვენს თვალწინ ახალი ადამიანი!

მაგრამ ასეთი შრომითი გმირობისა და ხანიმუშო ყოფაქცევის მაგალითი ბევრია. შეიარეთ ქარხანაში, ფაბრიკაში, კოლ-

შემოქმედებითი აღმავლობის წყარო

კოლმეურნეთა წერილი ნ. ს. ხრუშჩოვს

მ ოსკოვი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ვინაცის ოლქის ბერშადის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა წერილი გამოუგზავნეს ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს. ისინი წერენ, რომ გულის სიღრმემდე აღფრთოვანებული და გახარებული არიან ამსანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილით.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, წერენ კოლმეურნეები, ის, რომ ჩვენი უბრალო შრომა დიდად დააფასეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძევ. ეს პატივი, პარტიის ეს ყურადღება ჩვენთვის ახალი შემოქმედებითი აღმავლობის წყაროა, ათკეცებს ჩვენს ძალებს სოფლის მეურნეობის პროდუქტია სიუხვის შექმნისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში.

ჩვენი კოლექტივის ვალდებულებები, წერენ კოლმეურნეები, საპატიო და პასუხსაგებია. შეგნებული გვაქვს ეს და მტკიცედ გადაწყვიტეთ შევასრულოთ ჩვენი სიტყვა, რომელსაც ამ დაუვიწყარ დღეებში ვაძლევთ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს.

აპრილი. რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გამართულ კომუნისტური შრომის ბრიგადების და დამკვრელების შეკრებაზე გადაწყდა — მიეხიოს პარტიის XXII ყრილობის საპატიო სახელი იმ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, აგრეგატებს თუ ცვლებს, რომლებიც ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებენ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

...გუგუნებენ ღუმლები, იხარშება თუჯი, დნება ფოლადი, ჩვენი ქვეყანა იღებს რუსთავის მარკის სულ ახალ და ახალ პროდუქციას. პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავგამოდებით იბრძვის თვითეული მეფოლადე, მებრძმედე თუ მგლინავი.

და აი უკვე დადგა დრო. შეაჯამეს მუშაობის შედეგები.

ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მარტენის № 1 კომუნისტური შრომის ღუმელმა და ბრძმედის საამქროს № 2 კომუნისტური შრომის ღუმელმა. აქვე აღნიშნულია იმ ბრიგადიერების გვარები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ ღუმელების კომუნისტური შრომის ბრიგადებს. აი ისინიც: ი. ტაბატაძე, ა. ფანცულაია, გ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი, პ. იმედაშვილი, ა. ძამაშვილი, პ. გეგეშიძე და გ. კოპაძე.

პარტიის XXII ყრილობის სახელობის № 1 ღუმელმა გამოადინა 9.312 ტონა ფოლადი, მაშინ როცა ვალდებულება 7.000 ტონას ითვალისწინებდა. ვალდებულების გადამეტებით 2.400 ტონა თუჯი გამოადნეს აგრეთვე ბრძმედის საამქროს № 2 ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა.

...დგან „400"-ზე განხორციელებულია მთლიანი ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია. ამას ჩვენმა სახელოვანმა მეტალურგებმა სწორედ პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული ბრძოლის დღეებში მიაღწიეს.

ახალი სასახლე ძველ კრემლში

საუბარი მოსკოვის მთავარ არქიტექტორთან მ. ვ. პოსოხინთან

მ ოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე, ძველთაძველი სამების კოშკის მახლობლად, აშენდა შესანიშნავი ახალი შენობა — კრემლის დიდი თეატრი. ეს მსუბუქი, ნათელი და ლამაზი ნაგებობა საბჭოთა მშენებლების ხელმა აღმართა.

კრემლი ჩვენთვის ძვირფასია არა მარტო როგორც არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი. მასთან დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ისტორია, მისი უძველესი წარსული და მშვენიერი აწმყო.

ყველა ეპოქამ თავისი კვალი დატოვა კრემლში. წახნაგოვანი პალატა, მიძინების, მთავარანგელოზისა და ხარების ტაძრები, კრემლის დიდი სასახლე და სხვა ნაგებობანი სხვადასხვა საუკუნეებში, სხვადასხვა არქიტექტურული ფორმითა და სტილით შეიქმნა. მაგრამ ყველა მათგანმა შემდეგ ერთიანი ანსამბლი შეადგინა.

კრემლის დიდი თეატრის შემქმნელთა წინაშე რთული ამოცანები იყო. სწორად უნდა განსაზღვრულიყო შენობის მასშტაბი, რომ მას არ დაერღვია ახლო-მახლო მდებარე ძველის უნიკალურ ძეგლთა პარმონია. დაგეგმვის გადაწყვეტის სიძნელე ის იყო, რომ ამ შენობას უნივერსალური დანიშნულება და რთული თანამედროვე მოწყობილობა აქვს. უზარმაზარ მაყურებელთა დარბაზში, რომელშიც 6 ათასი კაცი დატევა, გამართება არა მარტო ყრილობები და კონგრესები, არამედ საოპერო, საბალეტო სპექტაკლები და კონცერტები, ფილმსტრიქონები. ეს იქნება კინოფილმები.

გარდა ამისა არ უნდა აგვეგო დიდი სიმაღლის შენობა და არ დაგვეფარა კრემლის თვალწარმტაცი სილუეტი ქალაქის მხრიდან. შენობა დიდი სწორკუთხედია, რომლის გაპიმული მხარეები გამოდის კომუნისტთა ქუჩასა და ივანეს მოედანზე. შენობის მთავარი შესასვლელი უშუალოდ ახლოსაა სამების კარიბჭესთან.

ახალ შენობაში, გარდა მაყურებელთა დარბაზისა, არის მისაღები დარბაზი 2.500 კაცისათვის, ვრცელი ფოიეები და კულუარები, ტავადი გასახდელები, დიპლომატიური კორპუსის, სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების, პრეზიდიუმის ოთახები, მსახიობთა და სხვა დამხმარე და ტექნიკური სათავსები. სულ აქ 800-ზე მეტი ნაგებობაა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაყურებელთა დარბაზის არქიტექტურული გადაწყვეტა, რომელიც პარტერის, ამფითეატრის, ბალკონისა და უზარმაზარი სცენისაგან შედგება. ასეთი სცენა ჩვენი ქვეყნის არც ერთ თეატრს არა აქვს. ეს დარბაზი აღჭურვილია ჰაერის კონდიციონერების უახლესი მოწყობილობით. 7 ათასი რეპროდუქტორი, რომლებსაც მაყურებელი ვერ ამჩნევს, უზრუნველყოფს კარგ სმენადობას სცენიდან ყველა კუთხეში. სავარძლები ისეა განლაგებული, რომ ყოველი ადგილიდან მაყურებლებს შეუძლიათ კარგად დაინახონ თუ რა ხდება სცენაზე. დარბაზის სიღრმე 50 მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 20 მეტრს აღემატება. ყრილობებისა და კონფერენციების დროს დარბაზში მყოფ 6 ათას კაცს შეუძლია მოუსმინოს ორატორებს 29 ენაზე ერთისა და იმავე დროს. მოგეგონებთ, რომ ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში ორატორთა სიტყვები ითარგმნება მხოლოდ 10 ენაზე. ორატორთა მეტყველების გასაძლიერებლად კრემლის თეატრში შექმნილია მცირეძალიანი ხმამაღლამოლაპარაკეთა სისტემა, რომლებიც მოთავსებულია საკარძლების საზურგეებში.

ყველაზე სრულყოფილი მოწყობილობით აღჭურვილია თეატრის სცენა, რომელსაც აქვს ასაწევ-დასაშვები მბრუნავი მოწყობილობა. სცენის ელექტროგანათება ყველგვარი მხატვრული ეფექტის წარმოქმნის საშუალებას იძლევა. სცენის ასეთი მოწყობილობა ახალ შესაძლებლობას უქმნის თეატრს, აფართოებს რეჟისორული შთაგაფიქრის დიაპაზონს.

ახალი სასახლე აღჭურვილია სრულყოფილი საინჟინრო მოწყობილობით. რადიატორების ნაცვლად პირველად ფართოდ არის გამოყენებული გასათბობი კონვექტორები, რომელთა გარეგანი სახე მოხერხებულად ერწყმის არქიტექტურას, კარგად ეხამება ვიტრაჟების მოხაზულობას. მძლავრი ვენტილაცია და ჰაერის კონდიციონერება უზრუნველყოფს საჭირო ხელოვნურ კლიმატს თითქმის ყველა ნაგებობაში.

შენობიდან შეიძლება მოეწყოს რადიო და სატელევიზიო გადაცემები, ტელეფონით დაუკავშირდეთ საბჭოთა კავშირის რომელიც ქალაქს. პრესის მუშაკებს შეუძლიათ შენობიდან გაუსვლელად გადასცენ ცნობები დედამიწის ყველა კუთხეში.

მშენებლებმა იზრუნეს იმისათვისაც, რომ შენობაში შეეკმნათ კარგი ვერტიკალური ტრანსპორტი. გარდა ლიფტებისა, აქ მოწყობილია უბმაურო ესკალატორები, რომლებსაც ხალხი სართულიდან სართულზე გადაჰყავს.

შინაგან მოპირკეთებასა და მორთულობაში უფრო ფართოდ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ფერის მარმარილო, ოქროსფერი ბოლნისის ტუფი, პლასტიკები, მსუბუქი შენადნობები და სხვა მასალები. მოხერხებული ლამპა ავიჯი შექმნილია განსაკუთრებული ესკიზების მიხედვით.

ჩვენი ქვეყნის 47 სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო მონაწილეობა კრემლის დიდი თეატრის მშენებლობაში. იგი დამპროექტებელთა და მშენებელთა მრავალმა კოლექტივმა ააგო წელიწადნახევარზე ნაკლები ხნის განმავლობაში.

თავიანთი შემოქმედების ნაყოფი მშენებლებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მიუძღვნეს.

სურათზე: კრემლის დიდი თეატრის შენობა.

ფოტო ნ. გრანოვსკაია და ბ. უვაროვისა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).



ეცნობიან, სწავლობენ

ლენტები. სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის პერიოდში მნიშვნელოვნად გაააქტიურა მუშაობა საქართველოს კოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილებამ. მისი ძალებით წაკითხულია 400-ზე მეტი ლექცია და მოხსენება, რომელსაც 80 ათასი კაცი დაესწრო. გადიდდა თემატური, კითხვა-პასუხის საღამოებისა და სხვა ღონისძიებათა რაოდენობა.

ს. გასვიანი,

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე.

ონი. სოფლებში სორსა და ირში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა კოლიტიკური განათლების კაბინეტები.

უკვე შეუდგნენ მუშაობას ამ კაბინეტების მეთოდური საბმოები, რომლებიც სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო ძალებია გაერთიანებული.

ა. გუგეშაშვილი,

გაზეთ „სოციალისტური მშენებლობის" რედაქციის მუშაკი.

სამტრედია. (სკკ კორ.). აქ მოეწყო კიდევ ერთი ახალი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირსემინარი, რომელიც მიეძღვნა ახალ პირობებში პარტიულ-კოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხებს.

ასე გაიხარეს გულეგზმა

ჯაცო, ჭუჩაში არ დააღამო დღეს, ჩამოიარეგე ფოსტა და დროით მოდი შინ, ხომ გესმის, ამ ყურძენს დაუურავ უნდა, მეტს ვერ გავიჩერებ, დაადგენა სიტყვა მეფეღლემ ვასილ კობახიძეს ეზოდან გასვლისას.

— ჩემი საქმე მე ვიცი, დამიწყო ახლა ამან ჭკუის სწავლება, ჩამოირბენენ ბიჭები და დაუურავენ.

ვასილს ცოტა არ იყოს ბრაზი მოჰგვარა ცოლის დარიგებამ: სხვისა რა ესწავლება სოფელში პირველ მეფეღვინეს და პირველ მეეენახეს. მესამე დღეა ოდესაღლის აივანზე უყრია მოკრეფილი ყურძენი, საწნახელიც სავსეა ყურძნით. აგერ გამოჩნდებიან ის ბიჭები, აგერ გამოჩნდებიანენ და ბმათ ლოდინში ღამის წაბდინოს წლის მოსავალი.

განა ბარტო ვერ მოერეოდა საქმეს! ჯერ არც ისე დამერეტლა! საქმეს კი მოერეოდა, მაგრამ უნდოდა შვილები და შვილიშვილები, მთელი მისი ჯალაბი დასწრებოდა ოდესღაც და მაკრობას.

ეს დრო ყოველწლიურად ზეიმს ჰგავდა ვასილ კობახიძის ოჯახში. მთელი დღე ბრიალებდა ვენახის „კუტრ" ქარი, თრთოლს ყურძენით სავსე გოდრებსა და ალაბეგს ითვლისო, მთელი დღე ოხრავდნენ და ბუყბუყებდნენ ქვეგრები გრანტლამიანი სარცხელის ცემისაგან. მხოლოდ საწნახელი იწვა მშვიდად და უდარტვინელად და მასხარად იღებდა მის გაუმაღლარ მუცელში თითისტოლა ბიჭუნას მიერ გადნობარეკვაებულ ალანჩხას... მთელი ღამე ენთო სინათლე სამზადში, მარანში და ეზრის თაგზეც: იწურებოდა ყურძენი, მთვრალიანდება ტკბილი, დუღდა მაჯარი, ხოლო იქით, სამპარი ცეცხლის გადაღმა, მოხუცი ტრასახლისი აარჩევდა ჯერაც წენგოშეუმშრალ ბაკალს და თაკარას უნთებდა ქვაბითა და ჭყინტლი სიმინდით საკესმეება ქვაბს.

წელს კი როგორღაც ისე არ მოეწყო საქმე, როგორც მოხუცებს სურდათ. ვერა და ვერა, შინ ვერ მოიხელთეს ბიჭები.

მერე შორს მაინც იყვნენ! აგერ მუშაობენ ზესტაფონში, ხოლო არგვეთიდან ზესტაფონამდე მყუდრო ღამეში სურზე რომ შედგე და გადასძახო, ხმას აღვილად გადაიწევდნენ.

ჰოდა აგერა ჰყავთ, ყურის ძირში, და სართველოდ ვერ წამოეშვებიან მოხუცებს, შორს რომ იყონ, ხომ სულ მთლად დარაგებოდნენ.

„არა მაგნარებიც არ არიან ჩემი შვილები, ალბათ საქმემ არ გამოუშვა, — თავისსავე ფიქრს გამოეპასუხა ვასილი, — კაცი ჯერ შენს საქმეს უნდა დახედე მარჯვედ. მერე... მერე მშობელიც მადლიერი გეყოლება და ყოველი მოკეთე და შენიანი... ვერ მოიცალეს. ლეონი (ეტლოს ვაჟიშვილს გადაწვდა მამის ფიქრი) ბრიგადირი კაცია, მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა ამბარია ფერროშენადნობთა ქარხანაში. ბარე ორი ჯერ დაატრაბახებს უკეთესობას. ამიტომაც დაათასეს და აგერ ახლა პარტიის ყრილობის დელეგატად აირჩიეს. თბილისში წასული. არც უმცროსებზე — ბუდესა და შოთაზე ეთქმით საყვედური მშობლებს. რეზო მყავს, სულ უმცროსი, და არც მაგ ბიჭს უჩანს ცუდი ბერი. არმიიდან მადლობას მითვლიან მაგის უფროსები. ამ შემოდგომაზე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ გალმიდან რაღაც იღრინებიან ის წყეულები და, ხომ იცი, ფრთხილად უნდა ვიყოთ...

ოღროჩოღრო გზაზე მოხუცმა რაღაცას წამოკრა ფეხი და წაიფორხილა.

— ჰარე, შე ძაბუნო! — ალბათ საკუთარი მუხლების მისამართით თქვა მან და თხრილის კიდეზე ფეხით გატეკეპნილ ბილიკზე გადავიდა. — ამისთანა გზა სწორედ რომ არ ეკადრება ჩვენს სოფელს.

ღელეზე გადებულ საცალფეხო ხიდზე ფრთხილად გავიდა და ფიქრით კვლავ შვილებს დაუბრუნდა.

— ჩემი ლეონი დასტურ სახელოვანი კაცია. ამოდენა ქარხანაში მდნობელთა ბრიგადის გაძღოლა ხუმრობა არ გეგონოთ, მერე რავი გგონიათ, თაფლის სანთელს კი არ ადნობენ იქ, იცით რა არის ფეროშენადნობი? თუ არ იცით, აგერ ვასილ კობახიძეს ჰკითხეთ. ფეროშენადნობი რა არის და მის პატარა ნატეხს რკინას რომ გაურეკენ და თოლადად იქცევა — ის არის. ჩვენს წინაპრებსაც სცოდნიათ მაგისთანების გამოყენება ფოლადის დასამზადებლად. მერე ხან თოხსა და სახნის კეერავდნენ იმ ფოლადისაგან, ხანაც ხმალსა და ხანჯალს. „ყამ იყო თოხი გვეპირა, ყამ იყო ხმალს ვიქნევდით" — ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, ცოტა ხელობა კი არ უნდა მაგ ფეროს გამოდნობას. ასე რომ იყოს, ყველა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი და დელეგატი იქნებოდა... კაი ვაჟაკაცად მომქონდა თავი ახალგაზრდობაში, მაგრამ მაგოდენობას მაინც ვერ გავწვედი. შვილმა მამას რომ ჯობოს, მაგი რა გულდასაწყვეტია... იმთავითვე ეტყობოდა ლეონს ყინჩალი რომ იქნებოდა. ქარხანაში პირველად რომ მიეყვანეთ, თექვსმეტისა არც იყო. სახელოსნო სასწავლებელში მიიღეს. სამი წლის შემდეგ სასწავლებელი რომ დაამთავრა და ელექტროლმელთან დადგა, დედამისმა აირეკა, უნდა ენახო ერთი სად მუშაობს ჩემი შვილი, რა ხელობაა ეს მდნობელობაო. ავდექით და მივედით ქარხანაში, ზაფხული იყო, იგლისი. ღუმელთან რომ მივიყვანე ჩემი დედაკაცი, კინაღამ გადაირია:

— ეს არის, კაცო, ხელობას ისწავლის და კაცი გამოვაო?! ამ გაგიჟებულ გინდა გამომიხრჩო და გამომიხრაკო ჭუჭინტი ბალანე! მოკიდე ხელი და ახლავე წამომიყვანე შინ.

ახლა ნახე რა ქნა მაგ შენმა „ჭუჭინტმა ბალანამ"! ამხელა ენას რომ დააფენ, ასეთი და ასეთი შვილები მყავსო, ჩემი ჭკუითაა მაგი, მე დავაყენე გზაზე, ოორემ გულისთქმას რომ აყვეს კაცი... მეც ქე მირჩევნია აგერ გვერდში მყავდეს ჩემი შვილები.

ვასილს შერცხვა, რაღაც პატარაზე გაწყენებულმა ახლა საყვედური რომ აკადრა მეუღლეს, და მაშინვე გაასწორა: „მარა, შენ დედა ხარ და დედის გული სხვა არის.

— ბიძია ვასილ, ჩვენი გაზეთი ხომ არ არის?!

მოესმა მოხუც ფოსტალიონს ბავშვის წკრიალა ხმა და ფიქრიდან გამოერკვა.

— არა, ბიძიკო, ახლა მიგდიგართ ფოსტის მოსატანად, აქეთობას დაგიტოვებ.

ზ ოგონა ოდესახლის ურიკულო აივანზე იჯდა, პირდაპირ იატაკზე მოკალათებულიყო, ალბათ ყველანი რთველში გაეკრიბნენ, ეს ერთი, ყველაზე პატარა სახლის მცველად დაეტოვებინათ. იქვე იატაკზე სიმინდის მარცალი გაეშალათ მზეში გასახმობად, ბავშვს ცალ ხელში წკეპლა იპირა, ხოლო მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო. გაკვეთილს სწავლობდა, თან სიმინდის მარცვალს იცავდა ქათმებისაგან. მიიღო თუ არა მოხუცისაგან პასუხი, წიგნს მიუბრუნდა და მალალი წკრიალა ხმით წაიკითხა:

ყურძენი დამწიფებულა,
შეხე როგორ წითლად ღუის,
ჩქარა-ჩქარა რთველი, ორემ
კოლო-ბუზი თავს დაგვბზუის.

წაკითხვადა ერთ ტაეპს, მერე წიგნს გულზე მიიფარებდა და ახლა ცდილობდა ზეპირად გაემეორებინა.

ისე ლამაზად და ხალისიანად წკრიალებდა ბავშვის ხმა, რომ მოხუცი შედგა და ყური დაუგდო: კარგად არის გალექსილი, თითქოს ჩვენს სოფელზე დაეწერაოთო.

ამ ლექსმა შინიდან გამოყოლილი დარდი გაანსენა: ის ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ იმ ყურძენს მართლაც მიხედვა უნდა — წლის მოსავალია, კი არ ტყუის ჩემი დედაკაცი... ბუდემ და შოთამ მაინც რატომ არ ჩამოირბინეს: არა, ეტყობა ახლა მაგენი ვერ მოიცლიან ჩემთვის. მარტო უნდა ჩავდგე ამალამ საწნახელში.

საფოსტო განყოფილებაში დაინახეს თუ არა მოხუცი ფოსტალიონი, ყველა ერთად მიეკარდა მას:

— მოგვილოცავს, ვასილ ბიძია, თქვენი ლეონი დელეგატად აირჩიეს.

— რაი, ბოშო? — დაიბნა უცებ ვასილი.

— დელეგატად აირჩიეს. აი გაზეთი წაკითხე, სურათიც არის.

— მომითმინე, მომითმინე, ბიძია, დელეგატი რომ არის და ყრილობაზეც წავიდა, ეს ვითომ ახალი ამბავია?!

—ეს თბილისში, ახლა პარტიის ოცდამეორე ყრილობის დელეგატად აირჩიეს. მოსკოვში გზავნიან, გაიგე?

— ჰორ, — გააგრძელა მოხუცმა, — ასე გეთქვათ მერე, შე კაცო, — ვითომ არც ეს არის უცხო ამბავი ჩემთვისო.— ნირი არ წაიხდინა ვასილმა, მერე გაზეთი გაშალა და ღიმილით დაუმატა:

— არ გამიკვირდა!.. ეუფრე შენ ამ მამაძაღლს...

ვერაფერ გაიგო, რა გაუკვირდა მოხუცს, ხოლო უკანასკნელ ფრაზაში ყველამ კარგად ამოიკითხა ის სიამაყე და სიხარული, ახალი ძალით რომ იფეთქა მამის გულში.

ვასილმა ფოსტა აიღო და მაშინვე გაბრუნდა. უნდოდა რაც შეეძლება მალე მიეტანა ახალი გაზეთები მეზობლებისა და სახლიკაცებისათვის. დე მათაც გაიგონ, იცოდნენ, რომ იგი, ვასილ კობახიძე, პარტიის XXII ისტორიული ყრილობის — კომენიზმის ყრილობის დელეგატის მამაა! ქეეყანამ გაიგოს, რომ ეს შრომაში დაბერებული და ხელებდაკოჟრებული გლეხკაცი, ძველი მეხრე და მეეენახე, ამჟამად ფოსტალიონად რომ გემსახურებათ, ამაოდ არ დამშრალა ამ წუთისოფელდ: სახელოვანი შვილები გამოეზარდა ბალხს და ბეეყანას! ალბა წაიკითხეთ გაზეთები და წაიკითხეთ ყველამ...

ხელად შემოირბინა სოფელი და შინ ადრიანად დაბრუნდა.

— ანეტა, ანეტა, შინა ხარ, ქალო?

— რა იყო, რა ამბავია, კაცო, რა დაფეთებული მორბიხარ?

— რა უნდა იყოს, არაფერი. წადი, გამოიტანე ერთი შენი სათვალე.

სათვალე? სათვალე რაში დასჭირდა ნეტავ, შარვალს გაიხეედა სადმე ბიშვარზე და ალაგეზე პოტიალში.

— ნემსიც წამოიღეო?

— ნემსი რათ გინდა, დედაკაცო, სათვალე მოიტანე. — ხმას აეწია მოხუცმა, მაგრამ ამ ხმაში უკვე რისხვა არ ჩანდა.

ანეტამ სათვალე გაიკეთა, ვასილმა გაზეთი გაშალა:

— იცანი?.. ახლა აქაც წაიკითხე.

ქალმა დამარცვლით ამოიკითხა... კარგახანს ჩუმად, უსიტყვოდ დაჰყურებდა სურათს. მერე სათვალე მოიხსნა და კაბის კალთით შეიმშრალა თვალზე უნებურად მომდგარი ცრემლი.

მ. მიქაძე.

* * *

სურათზე: სკკპ XXII ყრილობის დელეგატი **ლევან კობახიძე.**

წინასაყრილობო ტრიბუნა

ეკუთვნილოვთ სასაუბროდ ამბავი და ბუნებრივ ... ბიბლიოთეკა

პარტიის სიბრძნის შუქით

სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებით აღფრთოვანებული წალენჯიხის რაიონის მშრომელები დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით ხვდებიან მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შოვლენას — პარტიის XXII ყრილობას.

წარმატებები მოიპოვეს სამრეწველო ობიექტებმა, რომლებმაც რვა თვეში გამოუშვეს 9.990 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 12.642 ათასი მანეთისა. საოლერო საამქროთა სრული მექანიზაციის განხორციელების შედეგად რაიონის ჩაის ფაბრიკებში შემცირდა პროდუქციის ერთეულზე მატერიალური და შრომითი დანახარჯები.

ენგურ ჰე-ტყის დაცურების ჯვარის კანტორის ნაყოფიერ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ენგურჩაღლდკომბინატის ნედლეულით უზრუნველყოფა. კანტორამ პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა და 4.2 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებში ბდგილობრივი მეურნეობის კომბინატმა, რომელმაც 8 თვის დავალება 127 პროცენტით შეასრულა. კომბინატმა წელს ჩამოასხა 2.100 ათასი ბოთლი მინერალური წყალი „სქურა".

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რაიონის ყველა სოფლის რადიოფიკაციისა და ელექტროფიკაციის სამუშაოები.

მიმდინარე წელს სოფელ ჯვარში დაიწყო თაბაშირის მომპოვებელი კარიერისა და პირველადი დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 200 ტონა თაბაშირს.

გაიშალა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობა.

დაიწყო და მომავალი წლისათვის დამთავრდება ზუგდიდ-ჯვარის რკინიგზის მშენებლობა. 1962 წელს დაიწყება ენგურჩქინის კაშხალისა და გვირაბის მშენებლობა. კაშხალის სიმაღლე რამდენიმე ასეული მეტრი იქნება. შეიქმნება, წყალსაცავი, რომელიც ამბერკაკასიაში უდიდესი და მსოფლიოში ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობა იქნება. ზემო ჯვარის ტერიტორიაზე აშენდება 30.000 კვადრატული მეტრი ფართობის მუდმივი საცხოვრებელი სახლები, ტიპიური სკოლის შენობა 420 მოსწავლისათვის, სპბავშვო ბაღები და ბაგენი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, კლუბი, საავადმყოფო, სასტუმრო და სხვა დამბმარე ნაგებობანი.

აღმაღლობის გზით მიდის რაიონის ეკონომიკის წამყვანი დარგი—მეჩაიეობა. ჩაის წარმოების მოცულობით რაიონს მეხუთე ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მარცვლეულ კულტურებს. (სიმინდს), ტუნგოს, მეფეენახეობას, მებაღეობას, საზოგადოებრივ მეცხოველეობასა და მეაბრეშუმეობას.

წელს რაიონის მეჩაიეებმა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით სახელმწიფოს მისცეს 9.350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 50 ტონით აღემატება 1965 წლისათვის გათვალისწინებულ გეგმიერ დავალებას.

ჩაის ფოთლის კრეფაში თავი ისახელეს სოფელ ჯგალის სტალინის, რუსთაველის და მ. ყვარაცხელიას სახელობის, წალენჯიხის მარქსისა და პირველი მაისის სახელობის, ფახულანის სტალინის, ჯვარის სტალინისა და ლენინის, სოფელ მრეკვას უტუ მიქავას, ნაკიფუს სტალინისა და მუქავას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა, ლიის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „საქართველომ" და წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ჯ. შონია ხელმძღვანელობს, მოსავლიდან მიჩენილი 18 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 110 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, სამუალო მოსავლმა ჰექტარზე 6.000 კილოგრამს გადააჭარბა. ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კომუნისტმა ს. შონიამ 0.5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოკრიფა 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ქების ღირსია დაბა წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც კომკავშირელი გ. სახოკია ხელმძღვანელობს. „გასული წლის მაღალი მაჩეენებლების მოპოვებისთვის რგოლს გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რგოლი მიმდინარე წელსაც ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს იღებს.

სიმინდის მოსავლის აღებას უკვე შეუდექით და მიმდინარე წლის ცუდი ბუნებრივი პირობების მიუხედავად ჰექტარზე 27 ცენტნერი მოსავალი მაინც უნდა მივიღოთ.

ბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. მრეკვეობას ჩაბარდა 103 ტონა პარკი. კურკოვანი ხილის ჩაბარების დავალება რაიონში 208 პროცენტით შესრულდა. თესლოვანისა — 156 პროცენტით, სახელმწიფოს მიეყიდება 500 ტონა ყურძენი, ნაცვლად 350 ტონისა. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 9 თვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. მეცხოველეობა დღემდე არ გამხდარა რენტაბელურ დარგად, დაბალია ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე, არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ცალკეული ფაქტები.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დადგენილებების განხორციელების გზით მიაღწევს აღნიშნულ ნაკლოვანებათა სრულ ლიკვიდაციას.

წალენჯიხელი მშრომელები ახალი გამარჯვებებით ეგებებიან სკკპ XXII ყრილობას.

ი. ჩიქავა,

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

რომ ჯყვაოდეს სოფელი...

ჩ ვენი პარტიის პროგრამის პროექტი, რომელსაც მიიღებს და საბოჭჭეო ძალას მიანიჭებს პარტიის XXII ყრილობა, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს, კომუნისტური საზოგადოების აშენების პირველ, მეცნიერულად დასაბუთებულ კონკრეტულ გეგმას.

საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ის, რომ მძლავრ მრეწველობასთან ერთად შეიქმნას ყოველმხრივ აყვავებული, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა.

ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მეტად რთულ ისტორიულ ხანაში ძალღონე არ დაიშურეს, დიდი ღონისძიებები განახორციელეს იმისათვის, რომ წარმატებით გატარებულიყო პარტიის აგრარული პოლიტიკა, შექმნილი და გაბატონებული ყოფილიყო სოციალისტური სისტემა, მკვიდრი საფუძველი ჩაყროდა სოფლად სოციალისტურ წყობილებას.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის თანმიმდევრული, მოფიქრებული ღონისძიებისა და მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებულმა, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე მალე დაიფარა სოციალისტური ტიპის საწარმოებით, საბჭოთა მეურნეობებითა და კოლმეურნეობებით, მტს-ებითა და საცდელი სადგურებით, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებითა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით.

ყოველივე ამან კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა პარტიის გარშემო მშრომელი გლეხობის შემჭიდროებაზე, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენებით სოფლის მეურნეობის მართვასა და გაძღოლაზე.

ამგვარად, როცა კონკრეტულად განხილება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდის ფორმებისა და გზების საკითხი, პარტიამ მიუთითა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის დონის შემდგომი ამაღლების შესახებ თავის პროგრამის პროექტში მოგვცა ახალი თეორიული დებულებები და ამოცანები, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა უზრუნველყოფს როგორც მაღალხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის, ისე თანდათანობით გადასვლას კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ქალაქსა და სოფელს შორის ძირითად განსხვავებათა ლიკვიდაციას.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 10 წლისწინდლი გაორკეცდება დაახლოებით ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში — სამნახევარჯერ. პირველ ათწლეულში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება სულ ცოტა ორნახევარჯერ, ხოლო ორი ათწლეულის მანძილზე — ხუთჯერ-ექვსჯერ.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების კვლევაზე აგებულობრივი კლიმატური პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით კიდევ უფრო გაღრმავდება და მყარი გახდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, ქმედითი ზომები გატარდება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის და სხვა დანახარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული ტემპებით ზრდისათვის. თანმიმდევრულად განხორციელდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ქიმიზაცია, ირიგაცია, მელიორაცია და ბუნების სტაქიური ძალების მაგნე გაელენისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საზოგადოებრივი პირუტყვის უვნებელყოფისა და დაცვის ღონისძიებანი.

ჩვენი დაუცხრომელი შრომის, წინსვლის პროცესში მნიშვნელოვნად შეიცვლება საკუთრების ფუნქციები და მკვიდრი ნიადაგი მომზადდება საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ერთიან კომუნისტურ საკუთრებად შერწყმისათვის. ეკონომიური აღორძინების ახალ ფაზაში შევა საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო ურთიერთობა. კოლმეურნეობათა და კოლწეურთა თანამშრომლობის, მეგობრობის, საქმიანი დაახლოების ფორმები.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო რაიონების ცენტრებსა და დაბებში, სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში მასობრივად დაიწყება ელექტროსადგურების, სარწყავი სისტემების, სამდინარო ხიდების, მაგისტრალური გზების, საავადმყოფოების, სკოლებისა, სასპორტო და საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა.

სასოფლო საცხოვრებელი ადგილები სამრეწველო ტიპის კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტების, პატარა ქალაქების სახეს მიიღებენ, ხოლო სოფლის მეურნეობის მშრომელების შრომა თანდათანობით გადაიქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. ცხოვრება და მოღვაწეობა სოფლად არა მარტო ჯანსაღი ადამიანის არსებობის პირობა და მოთხოვნილება იქნება, არამედ მისი სულიერი, ესთეტიკური გემოვნების დატკბობის საშუალებაც.

ამასთან ერთად პარტიის პროგრამის პროექტის გარშემო, კერძოდ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ საკითხზე მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და მშრომელი გლეხობის მსხვილ, საზოგადოებრივ, კოლექტიურ მეურნეობებში ნებაყოფლობითი გაერთიანება, მათი მასობრივი კოოპერირება.

საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკამ იცის ავრეთვე კოლმეურნეობის სამი — დაბალი, საშუალო და მაღალი ფორმა, კერძოდ: 1. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა; 2. სასოფლო-სამეურნეო არტელი (კოლმეურნეობა) და 3. სასოფლო-სამეურნეო კომუნა. აღნიშნული სამეურნეო სოციალისტური რგოლები, რომლებიც წარმოიშვნენ საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოების დონით, ისე მათი გავრცელებისა და გამოსადეგობის თვალსაზრისით.

სოციალიზმის მშენებლობის პირველ ხანებში პრაქტიკულმა ცხოვრებამ, გამოცდილებამ თავის დროზე უარყო საკოლმეურნეო მშენებლობის ორი ფორმა. პირველი, როგორც შეტისმეტად პრიმიტიული და მესამე, როგორც იმ ეტაპზე შეუსაბამი — მეტისმეტად მაღალი.

ამრიგად, ჩვენი სოფლის მეურნეობის სისტემაში დღემდე ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად მიჩნეულია კოლმეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ ფორმამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა და უზრუნველყო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის აღმავლობა და საქმით დაამტკიცა სოციალიზმის დროს თავისი არსებობის აუცილებლობა და სიცოცხლისუნარიანობა.

კოლმეურნეობაში სწორად არის შეხამებული კოლექტივთა პირადი საყოფაცხოვრები ინტერესები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან. შექმნილია საჭირო წინამძღვრები შინასაკოლმეურნეო ურთიერთობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმს საკოლმეურნეო მშენებლობის ყველაზე მაღალ ფორმად მიაჩნია არა კოლმეურნეობა, რომელშიც განსაზოგადოებულია მხოლოდ შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანა-იარაღები, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო შენობები, არამედ სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სადაც წარმოების გარდა განსაზოგადოებულია განაწილებაც.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი საბჭოთა მეურნეობებთან ერთად დიდ უპირატესობას ანიჭებდა კომუნებსა და მათ შემდგომ განვითარებას. იგი თავის ცნობილ წიგნში: „პროლეტარული რევოლუციი და რენეგატი კაუცკი" წერდა: „...მიწის კანონში საბჭოთა ხელისუფლებამ პირდაპირი უპირატესობა მიაკუთვნა კომუნებსა და ამხანაგობებს, ისინი პირველ ადგილზე რომ დააყენა".

პარტიის მე-17 ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩევი ამბობდა: „მომავალი კომუნა წარმოიშობა უფრო განვითარებული ტექნიკისა და უფრო განვითარებული არტელის ბაზაზე, პროდუქტების სიუხვის ბაზაზე. როდის იქნება ეს? რა თქმა უნდა, მალე არ იქნება: მაგრამ ეს იქნება".

სოფლის მეურნეობის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების დადგენილებების ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების შეოხებით კოლმეურნეობები განმტკიცდნენ ორგანიზაციულ-ეკონომიურად, აღიჭურვნენ უახლესი სამამულო ტექნიკით, დაკომპლექტდნენ მაღალკვალიფიციური კადრებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავალი, განეყოფელი ფონდები, ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე. ამ მდგომარეობამ მრავალჯერ გაესვა ხაზი ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებებსა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი მუშაკების გამოსვლებში.

გამომდინარე აქედან, საჭიროდ მიმაჩნია პარტიის პროგრამაში ითქვას რამე სასოფლო-სამეურნეო კომუნების, როგორც სამეურნეო ფორმების აკვარგიანობაზე, მათი როლის, გარკვეულ პირობებში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და სხვა.

პარტიის პროგრამის იმ კარში, სადაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობისა და სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ, ძალზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი კოლმეურნეობებში შრომის ნორმირებისა და შრომის დამატებითი ანაზღაურების, უკეთესი საშეურნეო შედეგისათვის მატერიალური წახალისების ფორმის გამოყენების საკითხს და, გარკვევით არ არის ნათქვამი, თუ როგორ იქნება ცალკეულ ათწლეულების ან შემდგომი პერიოდის მიხედვით ამ ფორმების მოქმედების არე, მათი მეტ-ნაკლებად შენარჩუნების საჭიროების თვისებურება.

ჩვენი აზრით ამ საკითხების ირგვლივ ფორმულირება დაზუსტებას მოითხოვს. მართალია, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ფრიად სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს მატერიალური დაინტერესების პრინციპის მოქმედებას მაღალი ეკონომიური მაჩვენებლების მოპოვებისათვის, მაგრამ იგი მას მაინც არ თვლის ყოველი საზოგადოებრივი წყობილების დროს მუდმივ, აუცილებელ საშუალებად.

1921 წლის 17 ოქტომბრის მოხსენებაში „ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და პოლიტგანათლების ამოცანები" ვ. ი. ლენინი წერდა: „უშუალო კომუნისტურ გადასვლაზე იმედს არ უნდა ვამყარებდეთ. ყველაფერი უნდა ავაგოთ გლეხის პირად დაინტერესებაზე".

ვ. ი. ლენინი მატერიალური დაინტერესების საკითხს ყოველთვის განიხილავდა როგორც საბჭოთა ხალხის კომუნიზმთან მიყვანის ერთ-ერთ საშუალებას, და არა როგორც აშენებული კომუნისტური საზოგადოების ორნისძიებას. პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია: „მორე ათწლეულში (1971-1980 წლებში) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალური ტექნიკური ბაზა, მთელი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილ

როას საგანგაშო სიგნალები

რამ აღაფფოთა ასამგლეის დელეგატები

გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). სულ უფრო მძლავრად გაისმის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ხალხთა ხმა, რომლებიც მოითხოვენ აილგამონ მშვიდობის მტრები. მყუდროდ ვეღარ გრძნობენ თავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომფორტულ დარბაზებში იმპერიალისტ-კოლონიზატორთა წარმომადგენლები. ისინი იერუნჰბებიან სოციალისტური ქვეყნების დელეგატების, მრავალი ნეიტრალისტური, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლების მამხილებელი გამოსვლების გამო, თავიანთი ქვეყნების საზიზღოებრობის მოთხოვნების გამო.

გუშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის სხდომათა ცისფერ დარბაზში გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მთავარი ბინის ბინის ცალამბრჯენის კედლებთან ხმაურობდა ნიუ-იორკის მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია. მშვიდობის მომხრენი მშვიდობენ ეს, რათა განეცხადებინათ თავიანთი მოთხოვნები საერთაშორისო ორგანიზაციის სესიისადმი. „განიარაღება მშვიდობის ბაზაა", „მოლაპარაკება, მოლაპარაკება, მოლაპარაკება", „პოლ მოეღოს ნაცისტური გერმანიის ხელახალ შეიარაღებას" — წარწერილი იყო პლაკატებზე, რომელიც დემონსტრანტებს მოჰქონდათ.

გენერალური ასამბლეის დღის სხდომის ცენტრალური მოვლენა იყო კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის რაულ როას მკაფიო გამოსვლა.

კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სტრუქტურის შეცვლას რეალურად არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით და მოითხოვა აღდგენილი იქნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები საერთაშორისო ორგანიზაციაში.

რაულ როამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა იმას, რომ ამხილა ამერიკის აგრესიის ახალი გეგმები თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ. კუბელმა ხალხმა, თქვა მან, გაიაზეტეარა შემოკრის ერთი ცდა, და თუ იქნება ახალი ცდები, მან იცის, როგორ უნდა დაიცვას თავი. კუბამ თავიდანვე გამოთქვა სურვილი მოლაპარაკების გზით მოაწესრიგოს უთანხმობა შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგანი.

ამერიკის დელეგატის სტივენსონის ცდამ, გაებითილებინა შეერთებული შტატების მიერ კუბის წინააღმდეგ ახალი აგრესიის მომზადების ფაქტები, მხოლოდ დაადასტურა კუბის წარმომადგენლის საგანგაშო სიგნალები. სტივენსონი არსებითად ჩაეწერდა, რომ შეერთებულ შტატებს „უფლება აქვთ" ჩაერიონ კუბის საშინაო საქმეებში, როცა იგი ლაპარაკობდა, რომ შეერთებულ შტატებს აქვთ ღრმა და კანონიერი ინტერესი, იმის მიმართ, რაც კუბაში ხდება", რამდენადაც კუბა ამერიკის შეერთებული შტატების ახლოს მდებარეობს.

დღის სხდომაზე გამოეცხადა მალგაშის რესპუბლიკის წარმომადგენელი რაკოტომალალა, რომელმაც ილაპარაკა აფრიკის ახალ სახელმწიფოთა პრობლემებზე. მარაკოს დელეგატმა ბენჯელუნმა დაახასიათა ბლოკებსმიუმხრობელ სახელმწიფოთა ბელგრადის კონფერენციის როლი ღონისძიებებში, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. მან მკაცრად დაგმო კოლონიზატორთა ხრიკები და განაცხადა, რომ კოლონიალიზმი კონფლიქტების მთავარი წყაროა მსოფლიოში.

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. **ბოგაჩოვი** იუწყება: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლამ ღილის სხდომაზე, რომელმაც მთელი რიგი შეურაცხმყოფელი გამოხდომა მიახდინა აფრიკელი ხალხების წინააღმდეგ, ასამბლეის დელეგატთა უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია.

ასამბლეის დღის სხდომა დაიწყო იმით, რომ განიხილეს ლიბერიის წინადადება ამოიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ოქმიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვა. დღის სხდომაზე გამოვიდა ნიგერიის წარმომადგენელი ჯარუკუ, რომელმაც სთხოვა ლიბერიის დელეგატს მოეხსნა თავისი წინადადება. თუ ოქმებიდან ამოღებულ იქნა სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა შეისწავლონ ამ განცხადების აზრი.

ლიბერიამ მოხსნა თავისი პირველი წინადადება და ამავე დროს დაჟინებით მოითხოვა მოეწყოთ სახელობითი ხმის მიცემა რეზოლუციისათვის, რომელიც გმობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგატის გამოსვლას.

გენერალურმა ასამბლეამ 67 ხმით ერთი ხმის წინააღმდეგ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 20 დელეგატმა თავი შეიკავა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვას.

დამახასიათებელია, რომ თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კოლონიურ სახელმწიფოთა დელეგატები სხდომათა დარბაზში იყვნენ, მაგრამ ამჯობინეს არ მიეღოთ მონაწილეობა მათთვის ასეთი საჩოთირო საკითხის კენჭისყრაში.

გენერალურმა ასამბლეამ მას შემდეგ, რაც მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის დაგმობის რეზოლუცია, განაახლა დისკუსია საერთო პოლიტიკურ საკითხებზე.

კოსტა-რიკის დელეგატის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰმუდ ფაუზს, რომელიც თავის სიტყვაში დაწვრილებით შეჩერდა ბელგრადის კონფერენციის გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე სირიის უკანასკნელ ამბებზე.

შემდეგ ასამბლეის დელეგატებს ვრცელი სიტყვით მიმართა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ პეტერმა. იგი შეეხო დასავლეთში იმასთან დაკავშირებით ატეხილ ყიჟინაურს, რომ საბჭოთა კავშირში განახლდა ატომური იარაღის გამოცდა და თქვა: დასავლეთის მზარდი მოჭარბისა და საომარი მზადების პირობებში ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი სრულყოფს თერმონატომურ იარაღს, უზრუნველყოფს მთავარ დაცვას მეტიწილი სახელმწიფოებისა და მთელი კაცობრობისათვის. ხროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებს არა აქვთ მორალური საფუძველი სადავოდ გახადონ ფაქტების ლოგიკა.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეჩერდა გერმანიის პრობლემაზე და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის სახავო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებათა განხორციელება მშვიდობას მიიტანს იქ, სადაც იგი დღემდე არ ყოფილა.

უნგრეთის დელეგატმა ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ შეასრულებს მისთვის დასახულ ამოცანას, თუ მას მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, და მოითხოვა ჩინეთი ხალხის უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

TK 2-320 ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა კუნძულმა ნიისმამ იაპონიაში მამაცობის კუნძულის სახელი მოიხვეჭა. ამერიკის სამხედრო ბაზა, რომელიც კუნძულზე რაკეტულ ბაზას აშენებს, გლეხების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ღამღამობით ისინი ხნავენ გაყვანილ მისასვლელ გზებს და ასაფრენ ზოლებს, ხერგავენ გზებს, აფუძებენ ელექტროგადაცემის ხაზებს. სურათზე თქვენ ხედავთ ტოკიოს ახალგაზრდა მუშებსა და სტუდენტებს, რომლებიც კუნძულ ნიისმამს დამცველთა დასახმარებლად ჩასულან.

ფოტო ჯაპან პრესისა.

მითები და ფაქტები

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). სტატიაში „მითები და ფაქტები", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ უორლდ რევიუს" ოქტომბრის ნომერში, გადამდგარი გენერალი ჰიუ ჰესტერი ამხილებს ამერიკის პროპაგანდას დასავლეთ ბერლინის საკითხში. გენერალ ჰესტერს 1945-47 წლებში ეკავა გერმანიის ამერიკული ზონის სასურსათო მომარაგების უფროსის პოსტი.

„დასავლეთ ბერლინის ხელისუფლების ორგანოები, — წერს იგი, — არ არიან თავისუფალნი; ისინი არ არიან დემოკრატიული. დემოკრატიასა და თავისუფლებას არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია მათ შეექმნასთან და მათ შენარჩუნებასთან როგორც დასავლეთ გერმანიის ნაწილისა, 110 მილზე ახლანდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიღრმეში. ისინი შექმნეს ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების (განსაკუთრებით უკანასკნელის) მთავრობებმა, რათა გამოეყენებინათ იარაღად საბჭოთა ბლოკის წინააღმდეგ და აქამდე ინარჩუნებენ მათ ამ მიზნისათვის".

ამერიკელი გენერლის ჰესტერის სტატია

გენერალი ჰესტერი უარყოფს, რომ შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს დასავლეთ ბერლინში აქვთ რაიმე მორალური და კანონიერი უფლებანი. თუ თავიდანვე დასავლეთის სახელმწიფოებს ჰქონდათ რაიმე ამგვარი უფლება, აცხადებს იგი, ეს მოისპო 1946 წელს ინგლის-ამერიკის ორგანიზაციის შექმნით, რომლის მთავარი ბინაა ფრანკფურტში.

აღნიშნავს რა შემდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პოზიცია გერმანიის პრობლემის მოწესრიგების საკითხში ტუსუტრია, ავტორი აცხადებს, რომ ატომგულის საუკუნეში აღმოსავლეთისა და დასავლეთის დავის სამხედრო საშუალებებით დადაჭრას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ უაღრესად კატასტროფული შედეგები.

ცდილობს რა ფაქტები გამოიყენოს ჭორებისაგან დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის შესახებ, გენერალი ჰესტერი აცხადებს: უწინარეს ყოვლისა საჭირო ვიღაცართ, რომ დასავლეთი ბერლინი მდებარეობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიის სიღრმეში. მეორე, განაგრძობს იგი, საჭიროა ვაღიაროთ, რომ დასავლეთ ბერლინს, „რა თქმა უნდა, როგორც დასავლეთის სახელმწიფოები, ისე დასავლეთ გერმანიის რესპუბლიკა დროდადრო ჯაშუშობის ბაზად იყენებდნენ საბჭოთა კავშირისა და მისი სოციალისტური მოკავშირეების წინააღმდეგ".

ჰესტერს მიაჩნია, რომ „საუკეთესო შესაძლო გადაჭრა ამჟამად იქნებოდა როგორც აღმოსავლეთისაგან, ისე დასავლეთისაგან გამოყოფილი დასავლეთ ბერლინის შექმნა, რომელსაც ამავე დროს ექნება უფლება თავისუფალი სატრანსპორტო საკავრო და კულტურული კავშირისა ყველასთან..."

გენერალი ჰესტერი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა არაერთხელ შესთავაზა და ახლაც სთავაზობს დასავლეთის შეთანხმების ამგვარი გონივრული მოწესრიგების შესახებ. მაგრამ ჯერ-ჯერობით, სინანულით დასძენს იგი, დასავლეთის სახელმწიფოებს არ დაუკავებიათ ანალოგიური შემარიგებლური პოზიცია.

დასავლეთი ეძებს ახალ ჭამარშელდს

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება: საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნისა და მისი ფუნქციების საკითხზე არ მოჰყოლია პროგრესი, განაცხადეს გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წრეებმა და ამერიკის პრესამ. ისინი ცდილობენ „პროგრესის მიღწევლობისათვის" ბრალი დადონ საბჭოთა დელეგაციას.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციის წრეებში აღნიშნავენ საქმის ნამდვილ ვითარებას. როგორც ცნობილია, საბჭოთა დელეგაცია, რათა არ გადერთულებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის მუშაობა, დაეთანხმა, როგორც საკითხის დროებით გადაჭრის იმ ფორმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნულ იქნეს ერთ-ერთ ამ ორ ადამიანს, ანუ ან ბ-ნ ჩეხოსლოვაკიელ ზორინს, ან ინდოელ ნეროს, ოღონდ ეს ორი ადამიანი, ანუ ორივე ერთად, ვერ ასრულებენ ამ ადგილზე ერთ ადამიანს, ანუ ერთ ადამიანს, ანუ ერთ ადამიანს, ანუ

ეკრანი და ცხოვრება

ეგზოტიკის საფარქვეშ

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იშვიათად როდი იბეჭდება წერილები ქართული კინემატოგრაფიის მიღწევებსა თუ ნაკლოვანებებზე. ეს სავსებით გასაგებია. ჩვენმა საუკუნემ განსაკუთრებით დიდი როლი დააკისრა კინოს. სურათები ხშირად მოგზაურობენ დედამიწის ყველა კუთხეში და თავიანთ ქვეყანაზე ესაუბრებიან მილიონობით მაყურებელს.

ეს პატარა სიმძე როდია. და აი ამ მრავალფეროვან მაყურებელს სურს (როცა იგი ქართულ სურათს უყურებს) კარგად იცოდეს, როგორ ცხოვრობს ქართველი ხალხი, რა აღელვებს ან რა ახარებს, როგორია მისი ეროვნული თავისებურება, როგორ ვლინდება მისი სულიერი ცხოვრება საზოგადოებრივ თუ ოჯახურ-ინტიმურ სფეროში... როგორი მეგობრობა და სიყვარული იცის. და განა მარტო ეს!..

ასე ეშმარიტად დიდი და საპატიო ამოცანა დგას „ქართული ფილმის“ წინაშე და ჩვენც სწორედ ამ მაღალი მომთხოვნელობით უნდა განვიხილოთ ყოველი ახალი ქართული სურათი. აქ არ შეიძლება რაიმე შეღავათი, დათმობა!

სამწუხაროდ, მუდამ ასე როდი ხდება. მაყურებელი სურათს არ მიიღებს, რეცენზენტები კი მაინც ხოტბას ასხამენ აშკარად სუსტ ნაწარმოებს. განა ასე არ მოხდა სურათის „ენგურის ნაპირებზე“ მიმართაც? წინ გვიდევს დამსახურებული მასწავლებლის ნ. ძიძიგურის წერილი საგსებით კატეგორიული სათაურით— „კარგი ფილმი“ („ობილისი“, № 57. 1961 წ.). ავტორი მაღლობას უძღვნის სურათის შემქმნელებს, რამდენჯერმე საგანგებოდ მიუთითებს, რომ ფილმი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა და იგი ახალგაზრდებმა უნდა ნახონო. „რა გვიბრალავს სურათში „ენგურის ნაპირებზე“? — კითხულობს ავტორი და რაც ყველაზე მეტად მოსწონებია, პირველად მას გამოჰყოფს: „ჯერ ერთი, ის, რომ ჩვენს წინ იშლება სვანეთი — ბეგრისაოვის უცნობი, მაგრამ მუდამ საოცნებო. რა შესანიშნავია მისი ბუნება-ტყეები, უკიდეკანაესი ყვავილები და ულამაზესი ცა!“ ყველაფერი ეს მართლაც ჩანს სურათში, მაგრამ ავტორი ამაზე ისე წერს, თითქოს ეს თვალუწვდენელი მთები, ჩანჩქერები და ულამაზესი ცა ა. ვიტენბერგის ან ფილმის დამდგმელთა დამსახურება იყოს: არა, ბუნების ეს მშვენიერება მათზე ბევრად უფრო ადრე ჩანდა ამ ქვეყნად და თავსაც სვანეთში უკეთესად გრძნობს, ვიდრე სურათში.

საძმე სხვაგვარად არის. სურათში სრული შეუსაბამობაა ადამიანთა ურთიერთობის ხასიათსა და საარსებო სივრცეს შორის. მოქმედი გმირები აქ წარმოდგენილი არიან უაღრესად ყოფითი სტილით, ხოლო სულ სხვაგვარი აქვთ გარემო. ისინი ცალკე არიან. ოპერატორი ა. ფილიპაშვილი ცდილობს როგორმე პოეტური განწყობილება შექმნას ლამაზი პეიზაჟების ჩვენებით, მაშინ როცა სურათის მხატვრულ ქსოვილში სავსებით ინდიფერენტული „პოზიცია უჭირავს“ ფერებს, ჩანჩქერებს და საერთოდ პეიზაჟებს, მიუხედავად ბუნებრივი სიმშვენიერისა. ანდა იმიტომ, რომ მხატვრული ფუნქცია არა აქვთ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ სურათს უფრო შეეფერებიან. თითქოს სადღაც გამქრალა ამ სიმშვენიერის პოეტური სუნთქვა და რომანტიკული მიმზიდველობა, გამოთიშულან ადამიანის სულს და მხოლოდ რაღაც ეგზოტიკური განწყობილების შექმნისათვის გაჩენილან...

დიდებულმა ქართულმა მწერლობამ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის გამოხატვის ისეთი დონე შექმნა და ესთეტიკური განცდის ისეთ ხარისხში აიყვანა იგი, რომ დღეს უხერხულიც კია პეიზაჟების ისე უსიცოცხლოდ, მოქმედ გმირთა სულიერი ცხოვრებისაგან ისე გამოთიშულად ჩვენება, როგორც ეს არის სურათში „ენგურის ნაპირებზე“.

რა მართალნი იყვნენ სვანი ტყისმჭრელები, კოლმეურნენი და მესტიის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენელნი, ღია წერილით რომ მიმართეს კინოფილმის შემქმნელებს: „სვანეთი ასეთი არ არის!“ („სოფლის ცხოვრება“). განსაკუთრებით გვენიშნა ერთი ფრაზა: „თქვენი ფილმის გმირის გუალის ხასიათი სულ სხვა თარგზეა მოჭრილი“. დიახ, იგი მართლაც სულ სხვა თარგზეა მოჭრილი და ამაოდ შერაცხული სვანად. ამის მიზეზი უეჭველად ყოველივ სცენარში უნდა ვეძიოთ.

ახლა, როცა ამ ახალ ქართულ ფილმზე ელაპარაკობთ, არ დავიწყებთ იმაზე კამათს, სურათში არის თუ არა კინემატოგრაფიულად რაიმე ახალი და საინტერესო, ან და იგი განვლილ ეტაპს უფრო გვაგონებს თუ 60-იანი წლების კინოსურათს. ამჯერად სხვაზე გვინდა ვილაპარაკოთ, შესაძლოა უფრო პრინციპულსა და მტკივნეულზე.

ორი ვაჟისა და ერთი ქალის სიყვარული ტრადიციული სამკუთხედია სიუჟეტისათვის. ვის არ უწერია ამ თემაზე და ამისათვის არც სცენარის ავტორს ა. ვიტენბერგს ეთქმის საყვედური, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის.

სცენარი (საერთოდ სურათიც!) ზერელე ილუსტრაციული ხასიათისაა და ამიტომ ვერ სწვდება მოვლენის სიღრმეებს, დამაჯერებლობას ვერ ანიჭებს ადამიანთა რთულ შინაგან ურთიერთობას.

მოქმედი გმირები მოკლებული არიან ბუნებრივ ქართულ მეტყველებას და უცნაურად გულუბრყვილო დიალოგებით საუბრობენ. პირდაპირ ძნელია მთელი ამ სურათიდან გამოარჩიო რომელიმე დიალოგი ან წინადადება, ლიტერატურულად მაღალმხატვრული რომ იყოს. უსახურად და პრიმიტიულად არის დაწერილი მთელი სცენარი და ასევე სუსტია იგი სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისითაც.

ქართველ ხალხს მეგობრობის დიდებული ტრადიცია აქვს, ვაჟკაცურ სულისკვეთებასა და მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული. ეგზეკა საფუძველი ქალ-ვაჟის სიყვარულისა და საერთოდ მთელი ამ ურთიერთობისაც.

ასე და ამრიგად ფილმის ავტორებს რეალურად საუკეთესო საშუალება ჰქონდათ შეექმნათ მომხიბვლელი, პოეტური სურათი. მოხდა კი პირიქით. მოქმედ პირთა მთელი ურთიერთობა თავისი ძირითადი მიმართულებით სრულიად არაბუნებრივი აღმოჩნდა. ორ მეგობარს (ემზარს და გუალს) შეუყვარდა ერთი ქალი. ქალმა პირველი აირჩია, მეორე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. დაირღვა მეგობართა ურთიერთობა, მაგრამ საბოლოოდ იგი აღდგა და ყველაფერი ჩვეულებრივ კეთილად დასრულდა. სურათის მთელი ემოციური ტონალობა და ძალა დრამატიზმისა იმაზეა გაანგარიშებული, რომ სწორედ მეგობართა ინტერესები შეაჯახა ერთმანეთს ქალის გამო. ვინ გამარჯვებს, რა გრძნობა გაიმარჯვებს, ეს თავისთავად დიდი და საინტერესო საკითხია, მაგრამ საქმე ის არის, რომ სურათში ამას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს.

თურმე ერთხელ ბავშვობაში ემზარი იღუპებოდა და იგი გუალმა გადაარჩინა. თავისთავად ეს ზოგადი, ჰუმანური აქტი და არაფერს მეტყველებს (ფილმის მიხედვით) ჯაბუკების მეგობრობაზე. არის მეორე „საბუთიც“. გუალს სათი გაუფუჭდა, ემზარმა თავისი ათხოვა ორიოდე დღით. „შენ ნამდვილი მეგობარი ხარ“, — აღტაცებული ეუბნება გუალი. ეს არის და ეს. ნუთუ ურთიერთობის ასეთ პრიმიტიულ ნორმებზეა დამყარებული ნამდვილი მეგობრობა?!

მაგრამ გავყვეთ სურათის ლოგიკას. პირველ კადრებშივე ვხედავთ, რომ ჯარისკაცი (ემზარი) ბრუნდება შინ. მძღოლი, რომელსაც იგი მიჰყავს, დაეძინებით ეკითხება, ალბათ შეყვარებული მეგელისო, და მართლაც უცებ (დაბარებულივით) გამოჩნდება იგი. აქვეა მესამეც (გუალი), და სამკუთხედიც მზად არის. ემზარი და მანოლი ფარული ალერსით ხვდებიან ერთმანეთს. სიყვარულით გადაეხვევიან ე. წ. მეგობრებიც. გუალს ენიშნება, რომ ემზარსა და მანოლს შორის რაღაც სხვაგვარი ურთიერთობაა, ემზარს პირდაპირ მიახლა (ვითომდა მეგობრულად), შენ მაგაზე თვალი არ დაგრჩეს, თორემ ჩემთან გექნება საქმეო.

ისე დატრიალდება ეს უხერხო (უადგილოდაც თქმული) ფრაზა, რომ საფუძვლად დაედება მეგობრების მთელ ურთიერთობას. სხვა კადრში გუალი ეუბნება ქალიშვილს: თუ ვინმემ (ვითომდა, რძალო, შენ გეუბნები, მუღო, შენ გაიგონეო!) გაწყენინოს, მე მითხარი და იმის სეირს ჩვენებენ, ვინ იცის, რამდენი ოხერია ქვეყნადო. ამბობს ამას და ემზარიც იქვე დგას უხმოდ. მაყურებელი სურათის დასაწყისიდანვე მიხვდა, სათაკენ წარიმართებოდა მოვლენის განვითარება. მიხვდა და ინტერესიც დაკარგა. მაგრამ არა, ავი კვლავ უყურებს სურათს და განუწყვეტლივ ესმის: გუალს ქალს ვინ წაართმევს, უარს ვინ ეტყვის... ამ სანტიმენტალურ და საკმაოდ გულუბრყვილო ხერხს რაღაც უცნაურობამდე მივყავართ. ემზარი ხედავს, რომ მისი ნამდვილი მეგობარი (სწორედ მეგობარი!) იმ ადამიანს ისდევნებია, რომელთან ერთად წლების მანძილზე უტარებია სიყვარული, ახალი ძალით რომ იფეთქა ჯარიდან დაბრუნებისას. იცის ეს და მაინც „სულგრძელად“ დუმს და უყურებს, რა მოხდება. მოხდება ისე, რომ გუალი საკრძალოდ (როგორც იგი ამბობს) მოემზადება. ქალი კი უარს ეტყვის. მან აქ შეიტყო, რომ მეგობარს მისი საცოლე ჰყვარებია. მალე კვლავ ერთიანდებიან მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან. გუალი ეკითხება, თუ მანოლი გიყვარდა, რატომ აქამდე არ მითხარიო. ემზარი უპასუხებს, გიყურებდით, საქმე როგორ დადთავრდებოდაო. თუ მანოლი შენი ცოლი გახდებოდა, მე მაინც შენი მეგობარი ვიქნებოდიო. რას ნიშნავს ესე? რა ლოგიკაა? აი რა. ემზარი ამბობს: მართალია, მანოლი ჩემი საცოლე იყო, მაგრამ რაკი იგი შენც გიყვარდა და ცოლადაც გიხდოდა, ამიტომ მოვითმინე, გაცალეთ, და რადგან უკვე გადაწყდა, რომ ჩემი შეყვარებული ისევ მე მრჩება, შენ ეს არ უნდა გეწყინოს და ჩვენ კვლავ მეგობრებად უნდა დავრჩეთ. მთელი ეს ურთიერთობა ფილმში საოცრად არადამაჯერებელია.

უნებლიედ გვგონდება ა. არბუზოვის პიესის („ირკუტსკის ისტორია“) ორი მოქმედი გმირი სერგი და ალექსი. ესენი მეგობრები არიან. იმათაც ერთი ქალი (ვალია) შეუყვარდებათ. სერგი ვალიას ცოლად შეირთავს და მერე ალექსის ეტყვის, ისევ მეგობრები ვიყოთო. აი რატომ გვენიშნა ის ერთი ფრაზა, რომ „გუალის ხასიათი სულ სხვა თარგზეა მოჭრილიო“. გვენიშნა ისიც, რომ „ფილმის მხატვრული იდეა არ შეესაბამება კონკრეტულ გარემოს“. და მართლაც ასე არ არის? ის, რაც სავსებით ბუნებრივია არბუზოვის პიესაში, სრულიად დაუჯერებელია აქ, დ. რონდელის სურათში.

ანდა ისიც ვთქვათ: რა ზნეობრივი პრინციპი აქვს ემზარის საქციელს, როცა სატრფოს უსაფუძვლოდ გამოცდას უწყობს? ეს ხომ პატარა ადამიანების საქციელია? ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა გუალიც. იგი ქორწილში არ წავიდა, მაგრამ სახურავზე აიპარა და „ჟუჭრატანიდან“ დაუწყო ნეფე-დედოფალს ყურება, როგორც ეს ბავშვებმა იციან. არაო, ალბათ გვეტყვიან ავტორები, იმისათვის ავიდა იქ, რომ მოესაზრებინა, თუ როგორ მოეხვედრებინა მეგობრისათვის ტყვია შიგ გულში (ფიქრი სათანადოდ ილუსტრირებულია). მერე და რისთვის არის საჭირო ეს სანტიმენტალური კადრები? არათუ ფიქრით, გუალმა პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა ემზარის მოსაკლავად, როცა იგი ხვნის გადაჩეხა. სურათის ავტორები თავიდანვე მიხვდნენ, რომ ეს მეტისმეტი მოუვიდათ (გუალი კაცისმკვლელი!) და გუალსვე ათქმევინეს, არ მინდოდა ასე, უბრალოდ ხელი ვკარიო. მოქმედების ლოგიკა კი სხვაზე მეტყველებს. ფილმის ნაკლი მარტო ეს ხომ არ არის. მართლაც პირდაპირ ზღაპარში თუ შეიძლება მოხდეს ის, როცა ემზარი უფსკრულში გადაიჩეხება და მერე ქვაზე განაბული უცებ გუალს ეტყვის, „ვიცოდი მოხვიდოდიო“. გუალის მოწინავე ბრიგადირობაც ხომ სელოვნურად არის შეკოწიწებული. იგი თურმე გეგმას იმიტომ აპარებდა, რომ ნორჩ ხეებსაც ჭრიდა და ამით ადვილად იკაფავდა გზას. ეს ხომ ღია კარის მტვრევაა და მეტი არაფერი.

„ბუბა ქაჭუჩელას“ რომ წარამარა მღერიან, ეს იუმორისტული ნომერი ყოფილა და თურმე „ამ სიმღერას სვანურ ქორწილში ვერავინ გაბედავს“.

ფილმში, აქტიორული შესრულების თვალსაზრისით, არის ზოგიერთი საყურადღებო მხატვრული სახე. მართალია, სცენარის გამო მთავარი გმირები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, მაგრამ მაინც ცდილობენ ბოლომდე შეინარჩუნონ არტისტული გულწრფელობა. პირველ რიგში უნდა ვთქვათ ნ. შარიაზე (გუალი). იგი განსაკუთრებით ბუნებრივი და შინაგანადაც ძლიერია, როცა უშუალოდ ფიზიკურ მოქმედებას ასრულებს. ახალგაზრდა მსახიობს აქვს სიმართლის გრძნობა და მომხიბვლელობა, თავისი გმირის ცხოვრებას სადად და გულწრფელად გადმოგვცემს მ. გორგილაძე (ემზარი). ფსიქოლოგიურად მართალი დეტალი თუ ეპიზოდი აქვთ შექმნილი ა. შენგელაიას (მანოლი), ს. ჭიაურელს (თამარი) და ცალკეული ეპიზოდური როლების შემსრულებლებს (ბ. ზაქარიაძე, თ. ბაქრაძე, ბ. კანდელაკი).

მოკლე დროში კინოსტუდიამ ოთხი მხატვრული სურათი გამოუშვა და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა, რომ ჩვენს კინემატოგრაფიას კვლავ დიდად აწუხებს სცენარის პრობლემა. ამ გარემოებას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ყველაზე გულსატკენი ის არის, როცა გრძნობ, რომ სცენარი სახელდახელოდ არის შეკოწიწებული. განა ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს სცენარი, რომელიც საფუძვლად დადო ფილმს „ენგურის ნაპირებზე“? „ლიტერატურულმა გაზეთმა“ მწერალ რ. ჯაფარიძის სტატიით ჯერ კიდევ ძალიან ადრე აგრძნობინა კინოსტუდიის მესვეურთ, რომ კრიტიკულად მოჰკიდებოდნენ ამ სცენარს, მაგრამ ამაოდ.

იქნებ კიდევაც შეიძლებოდა ზოგიერთი მხატვრულად სანდერესო დეტალის, რეჟისორული თუ ოპერატორული ნამუშევარის დადებითად აღნიშნა, მაგრამ იმდენად ღრმა და სერიოზულია სურათის მანკიერება საფუძველშივე, რომ ეს ყველაფერს ფარავს. საფუძველი კი სცენარია. და ჩვენ შეურიგებელი უნდა ვიყოთ იგ, როცა ოდნავ მაინც იბღალება ჩვენი კინემატოგრაფიის (და არა მარტო კინემატოგრაფიის) ეროვნული სახე, ქართველი ხალხის მორალურ-ეთიკური ნორმები, მეგობრობისა და სიყვარულის მაღალი ზნეობრივი პრინციპები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც შეადგენს ჩვენი ხალხის სულიერ სილამაზეს, განუმეორებელ თავისებურებას, ცხოვრების ღრმა შინაარსს!

ვ. კიკნაძე.

ხელოვნების ქრონიკა

ჯყვარჩელის კლუბებსა და კულტურის სახლებში სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართულმა და აფხაზურმა დრამამ რამდენიმე სპექტაკლი გამართა.

ტყეკარჩელის მაყურებლებმა ნახეს აფხაზური დრამის დადგმები — „ნათელი ცა“, „ციმბირელი“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „სიმღერა დედაზე“ და სხვ., ქართული დრამის სპექტაკლები — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „დედა“, „პატარა კაბი“ და მუსიკალური კომედია „ჯადოქარი“.

ნ. მიქაშავიძე, ვ. ადამია.

ქედა. (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მრავალფეროვანი რეპერტუარი მოამზადა. იგი წარმატებით გამოდის რაიონის კოლმეურნეთა წინაშე, კულტურულ მომსახურებას უწევს მშრომელებს. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა რაიონის მაღალმთიან სოფლებში დანდალოში, კვაშტაში, მერისში, ცხმორისში და სხვ.

ჩაის ფოთლის კრეფაში მიღწეული წარმატებებისათვის ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეექვსე რგოლის მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივი ვის საპატიო წოდება. რგოლის წევრებმა ჯერ კიდევ აგვისტოში შეასრულეს წლიური დავალება და დღეისათვის სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩაბარეს 10 ტონა ჩაის ნედლეული.

სურათზე: სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიეთა კომუნისტური შრომის რგოლის წევრები დები ეთერი და ციალა მახარაძეები.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართველი კალათბურთელები ევროპის ასპარეზზე

თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილეა

საფრანგეთის სპორტული გაზეთი „ეკიპი“ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის ინიციატორია. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ევროპის ჩემპიონთა თასის სახელს ატარებს. 1958 წლიდან მოყოლებული ევროპის კალათბურთელთა უძლიერესი საკლუბო გუნდები ყოველ წელს მონაწილეობენ ამ პოპულარულ ტურნირში.

1959 წელს „ეკიპის“ მაგალითს მიბაძა ბულგარეთის სპორტულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა“ და დაიწყეს თასი კონტინენტის უძლიერესი ქალთა კოლექტივისათვის. ევროპის ჩემპიონატისაგან განსხვავებით თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება აქვთ ეროვნულ პირველობაში გამარჯვებულ გუნდებს.

თასის პირველ გათამაშებაში წარმატება მოიპოვეს საბჭოთა კალათბურთელებმა. მისი მფლობელი გახდა რიგის არმიელთა კოლექტივი, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა ბულგარეთის პოპულარული გუნდი „აკადემიკი“. ერთი წლის შემდეგ ძველი მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლაში. უპირატესობა აჯერადაც საბჭოთა სპორტსმენების მხარეზე იყო. „ეკიპის“ თასი კიდევ ერთი წლით დარჩა რიგაში.

1959 წელს საკავშირო პირველობა კალათბურთში არ ჩატარებულა. ამიტომ ჩემპიონის ოქროს მედლები უნდა მიეღო იმ გუნდს, რომელიც გამმარჯვებდა სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაში, მაგრამ ვერ მიიღებდა მონაწილეობას ევროპის თასის გათამაშებაში, რადგან სპარტაკიადაზე წარმოდგენილი იყვნენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები და არა საკლუბო კოლექტივები. დაისვა კითხვა, რიგის არმიელთა გარდა (მათ ეს უფლება მოიპოვეს როგორც თასის მფლობელებმა) ვინ დაიცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას ტურნირში. გადაწყდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაეშვათ ის გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებდა უძლიერესთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში. ეს უფლება თბილისის „დინამომ“ მოიპოვა.

ქართველმა კალათბურთელებმა გაამართლეს სპორტის მოყვარულთა იმედები და მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებებით ფინალამდე მიაღწიეს. ფინალში მათ ბრძოლა მოუხდათ თასის ორგზის მფლობელთან, რიგის არმიელთა კოლექტივთან, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ევროპის საუკეთესო გუნდია.

1960 წელს „ეკიპის“ თასის მინიატურული გამოსახულება სამუდამოდ დარჩა რიგაში, გუნდები კი განაგრძობდნენ ბრძოლას თასისათვის, რომელმაც საბოლოოდ შეიცვალა მისამართი — რიგიდან მოსკოვში მოხვდა. იგი მოიპოვეს **ცსკა**-ს კალათბურთელებმა.

მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება თასის მეხუთე გათამაშება, რომელიც 1962 წელს დამთავრდება. ამ ტურნირში ავტომატურად დაშვებულია მხოლოდ ერთი გუნდი — თასის დამცველი მფლობელი მოსკოვის **ცსკა** (დანარჩენებმა ეს უფლება მოიპოვეს ეროვნულ ტურნირებში გამარჯვებით). მაგრამ რადგანაც დიდქალაქის არმიელები ამავე დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები არიან, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაში გათამაშებაში დაუშვეთ ჩვენი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი თბილისის „დინამო“.

დინამოელებს ასეთ დიდ ტურნირებში მონაწილეობის მიღება პირველად როდი უხდებათ. მათ საკმაო გამოცდილება აქვთ. ვიმედოვნებთ, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ფრთა შეასხან შარშანდელ ჩანაფიქრს.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I-X ადგილები

გუშინ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის I-X ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“. საინტერესო მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

XI-XXII ადგილები

შედგა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის.

ბაკოს „ნეფტიანიკი“ ტალინში ეთამაშა ადგილობრივ „კალევს“. მატჩი მოიგეს ბაკოელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

ალმა-ათაში ადგილობრივი „კაირატისა“ და ლენინგრადის „დინამოლეონ-ცის“ შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ფეხბურთი

ნ. გაფრინდაშვილი ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში

„დავუთმო“. ე. ბიკოვას სიტყვა არ გაუტეხია. ჯერი ნ. გაფრინდაშვილზეა.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით იუგოსლავიის კურორტ ვრიჩკა-ბანიაში, დაახლოებით 22-25 ოქტომბერს, სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირის 18 მონაწილე. აქ იქნებიან საბჭოთა ოსტატები კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ვ. ბორისენკო, ტ. ზატულოვსკაია, ნ. გაფრინდაშვილი, იუგოსლავიელები ვ. ნედელკოვიჩი, მ. ლაზარევიჩი და სხვები. ამ ტურნირში გამარჯვებული 1962 წელს შეეცილება ე. ბიკოვას ჩემპიონის ტიტულში.

რასაკვირველია, ჩვენს საზოგადოებრიობას აინტერესებს რა შანსები აქვს ნ. გაფრინდაშვილს ამ დიდ ტურნირში. კარგი, არავისზე ნაკლები. მთელი ზაფხულის განმავლობაში იგი იმყოფებოდა მოსკოვში სპეციალურ საწვრთნელ შეკრებაზე. შემდეგ მეცადინეობდა თბილისში თავის მწვრთნელ ოსტატ მ. შიშოვთან, რომელიც მას იუგოსლავიაშიც გაჰყვება. ამჟამად ნ. გაფრინდაშვილი ტაშკენტში იმყოფება საკავშირო გუნდურ პირველობაზე. აქ იგი როგორც სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრი იღებს რამდენიმე პარტიას, რაც მისთვის პრაქტიკული ვარჯიში იქნება. უზბეკეთის დედაქალაქიდან ნ. გაფრინდაშვილი გაემგზავრება იუგოსლავიაში.

თ. გიორგაძე.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

სიცოცხლის სადარაჯოზე

ო. ა. ჭავთარაძე,

მოძრაობის უსაფრთხობის ერთთვიურის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

10 ოქტომბერს საქართველოში დაიწყო „მოძრაობის უსაფრთხობის ერთთვიური“, რომლის მიზანია ჩაბას ფართო საზოგადოება გზებსა და ტრანსპორტზე შემთხვევების თავიდან აცილებისა და ქუჩებზე და გზებზე მოძრაობის დროს დისციპლინის განმტკიცების საქმეში. „მოძრაობის უსაფრთხობის ერთთვიურის“ მთავარი ამოცანაა ავარიების მაქსიმალურად შემცირება ტრანსპორტზე, აგრეთვე ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის განმტკიცება.

საქართველოს ქალაქების განიერ ქუჩებში და პროსპექტებზე, სასოფლო გზებზე ერთი წუთითაც არ წყდება ტრანსპორტის მოძრაობა. ღღე და ღამე განუწყვეტელ ნაკადად მიჰქრიან ტრამვაიმ ვაგონები, ტროლეიბუსები, ავტობუსები, გადაჰყავთ ათასობით მგზავრი. დადგა „ოქროს შემოდგომა“. გაჩაღებულია უზარმაზარი მოსავლის აღება. ქართული მიწის ნაყოფი—ჩაი, ყურძენი, სიმინდი და ბევრი სხვა რამ გადაიკვეთ ახლა სატვირთო ავტომობილებით. მანქანები ეზიდებიან დიდძალ სამენ მასალას რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლებისათვის.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში ავტომობილებისა და მოტოციკლების რაოდენობა თითქმის ერთი-სამად გაიზარდა. ყოველივე ეს ძძლოლებისაგან მოითხოვს მანქანის ტარების მაღალ კულტურას, შრომის დისციპლინასა და მანქანების მატერიალური ნაწილისა და ქუჩაში მოძრაობის წესების ღრმად ცოდნას.

მოძრაობის გაძლიერება ქვეითად მოსიარულეებისაგანაც მოითხოვს დადგენილი წესების ზუსტად დაცვას. მხოლოდ ეს აიცილებს თავიდან მოსახლეობას გზებსა და ტრანსპორტზე შემთხვევებს, რომლებიც იწვევენ ადამიანის დასახიჩრებას, ზოგჯერ დაღუპვასაც, მანქანების მწყობრიდან გამოსვლას.

რათა შევინარჩუნოთ ადამიანთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე, აგრეთვე ტექნიკა, საჭიროა გზებსა და ტრანსპორტზე შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებას მთელი საზოგადოებრიობა. როცა ამას ხელს მოჰკიდებს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა, როცა ეს შუშაობა საერთოსახალხო საქმე გახდება, მაშინ უმეტესი შემთხვევათა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდება.

ერთთვიური წინ უძღვის შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის პერიოდს. წლის ამ დროს ხშირი წვიმები, ნისლი, თოვლი მნიშვნელოვნად ართულებს ტრანსპორტის მუშაობას. ამ პირობებში საჭიროა ყველა სახეობის ტრანსპორტის განსაკუთრებით მკაფიო და შეუყოფელი მუშაობა. ამიტომ ერთთვიურის მოწყობა ახლა მეტად დროულია.

უკვე შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შედიან საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, ეკონომიკურ, ბუნებრივ-ეკონომიკურ, ეკონომიკურ-ეკონომიკურ, ეკონომიკურ-ეკონომიკურ, ეკონომიკურ